ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7685485

ნომერი: AR11114464

თარიღი : 24.10.2025

გაცემის თარიღი : 31.10.2025

გაცნობის თარიღი : 03.11.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალიო მირცხულავას ქუჩა, N 9გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამი ჭულუხაძე პ/ნ 01019070369
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 33/1 ბ. 26

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 24 ოქტომბრის №AR11114464 განცხადებით მომართა მარიამ ჭულუხაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 4 სექტემბრის №7205180 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 სექტემბრის №7205180 ბრძანებით N01.13.04.017.409 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი 3; ბლოკი N5) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა2024 წლის 04 სექტემბრიდან 2025 წლის 04 სექტემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2025 წლის 30 ივნისის №7534894 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2024 წლის 4 სექტემბრის №7205180 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2027 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 4 სექტემბრის №7205180 ბრძანებით შეთანხმებულ +56.10 ნიშნულის გეგმაზე, გეგმარებასთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
განგიმარტავთ, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ წარმოადგენს „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში“-ს ნომენკლატურით ცვლილების შეტანის საფუძველს. აღნიშნულისთვის საჭიროა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანა (კორექტირება).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.